

საქართველოს რესპუბლიკა

2013-05-16

"ნათლია ნათლულები სცენაზე"

65 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ალგებრისტ-ტოპოლოგს, აკადემიკოს ნოდარ ბერიკაშვილის ღირსეულ მოწაფესა და დიდი გიორგი ჭოდოშვილის ღირსეულ მათემატიკურ "შვილიშვილს", ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თორნიკე ქადეიშვილს. ეს შესანიშნავი, მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სპეციალისტი 40-მდე ნაშრომისა და ერთი ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორია. მისი გამოკვლევები, ზოგ შემთხვევაში გერმანულ, ესპანელ, ამერიკელ კოლეგებთან ერთად შესრულებული, გამოქვეყნებულია ერთობ პრესტიჟულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და მაღალი ციტირების ინდექსითაც გამოირჩევა. თ. ქადეიშვილის მეცნიერული შედეგები ბევრჯერ მოხსენდა სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ კონფერენციებს, საზღვარგარეთ აღინიშნა ჰუმბოლდტის სტიპენდიით, საქართველოში - ანდრია რაზმაძის სახელობის სააკადემიო პრემიით. იგი გახლავთ ამერიკის მათემატიკური საზოგადოების წევრი (1988 წლიდან), თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის (ტრიესტი, იტალია) უფროსი ასოცირებული წევრი (2008 წლიდან) - იქ ყოველწლიური ორთვიანი მიწვევითა და ადგილზე მუშაობით. სხვადასხვა დროს თ. ქადეიშვილი, აგრეთვე, იყო მიწვეული პოლონეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, აშშ-ის, მექსიკის უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო ცენტრებში. სხვა დროსაც გვითქვამს: როცა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში მკვიდრდება მკვლევრის სახელთან "შებმული" თუნდაც ერთი ცნება (ან ტერმინი), ეს უკვე უკვდავებაა! ჩვენი იუბილარის გვართ კი ალგებრასა და ტოპოლოგიაში (ახლა უკვე სხვა დისციპლინებშიც) სულ მცირე სამი ობიექტია "მონათლული": ქადეიშვილის მინიმალური მოდელი, გეტცელერ (გერმანელი მათემატიკოსი)-ქადეიშვილის ალგებრა, ქადეიშვილის ალგორითმი. ქართველი მათემატიკოსის ერთი დებულება თვით ავტორისა და უცხოელ მკვლევართა მიერ სხვადასხვა სიტუაციაში განზოგადდა და ასე გაჩნდა გამოთქმა "ქადეიშვილის ტიპის თეორიები". ქადეიშვილის მინიმალურ მოდელს არაერთი გამოყენება აღმოაჩნდა ფიზიკაში (სამთა თეორიაში); მის სხვადასხვა შედეგს სპეციალურ ლიტერატურაში მოიხსენიებენ როგორც კლასიკურს(!), როგორც ჰომოტოპიური ალგებრის საკვანძო თეორიას(!), როგორც ძირითად მნიშვნელოვან თვისებას გარკვეულ ალგებრათა(!), როგორც ინტელექტუალურ გარღვევას(!)...

"თორნიკე ქადეიშვილის ნაშრომთა მნიშვნელობა იზრდება არა მარტო მათემატიკაში, არამედ ფიზიკაშიც. ის რჩება დარგის ლიდერად"... ამას წერს დარგის - ჰომოტოპიური ალგებრის დამფუძნებელი, ამერიკელი მათემატიკოსი ჯეიმს სტამეფი!..

ვესაუბრებით იუბილარს, აწ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესა და გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს:

- რას იტყოდით ჩვენში მეცნიერებისა და განათლების ამჟამინდელ მდგომარეობაზე.

- წინა ხელისუფლების სამეცნიერო პოლიტიკამ, უფრო სწორად, ასეთი პოლიტიკის არარსებობამ ქართულ მეცნიერებას დიდი ზიანი მიაყენა. ჩვენი სამეცნიერო სისტემა ბოდიში და, ავგიას თავლას დაამსგავსეს, რომლის გაწმენდა-გასუფთავება ძალიან გამწვანდება. ახალ ხელისუფლებას კარგად ესმის ქვეყნისათვის მეცნიერების მნიშვნელობა და როლი; ამიტომაც შემუშავდა ე. წ. გია დვალის კონცეფცია და იმედია, პარლამენტის შესაბამისი კომისიის, მისი თავმჯდომარის, აკადემიკოს ვანო კილურაძის ძალისხმევით მდგომარეობა გამოსწორდება. განათლებას რაც შეეხება, ის წარმოუდგენელია უმეცნიერებოდ, რაც კარგად ჩანს გია დვალის კონცეფციაშიც.

ავტორი: თამაზ ებანოიძე